ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 40

25 დეკემბერი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო და ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიებთან ერთად

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ნინო კვეტენაძე

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური- ვიქტორ წილოსანი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი; ლევან არველაძე; დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ ორ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დღის წესრიგით წარმოდგენილ დანარჩენი საკითხების განხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (№12-0318355197-03)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი (№12-0318344134-03)
3. საფინანსო-საქალაქო სამცახურის წერილი№11-011835930-44 (25.12.2018წ) 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.(12-03183548-03)

5. ქალაქ თბილისში, ერეკლე II -ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ : №01.18.03.045.019) 121 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალასთვის" (ს/ნ ;404433029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-03183559-03)

6. ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზ.№9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ№01.16.05.031.029) 14კვმ მიწის ნაკვეთის შპს „მარტოსთვის" (ს/ნ 404558144) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-03183559-03)

7. ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ.№2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.14.11.031.048) 13 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მონ კაფე"-სთვის (ს/ნ 404523011) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(№12-03183559-03)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ. მისი განმარტებით 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის 170 000,0 ათასი ლარის გამოყოფის საფუძველზე , წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 1 086 863,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და დამატებით წარმოდგენილი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. შესაბამისად ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა სულ შეადგინა 37 271,5 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 33 784,2 ათასი ლარით, მეტროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ავტობაზების აღდგენა-რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 95 346,0 ათასი ლარით, მათ შორის 79 564,3 ათასი ლარი 220 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსების

შეძენისათვის და 15 781,7 ათასი ლარი მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისათვის; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) 5 062,5 ათასი ლარით; საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) 2 336,5 ათასი ლარით, მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით; 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) 2 302,4 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში (კოდი 03 01) შპს ეკოსერვისის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების დასაფინანსებლად ემატება 9 092,0 ათასი ლარი, ხოლო გამწვანების ღონისძიებებში მიღებული ეკონომიები მცირდება 2 671,6 ათასი ლარით; იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 42 725,5 ათასი ლარით, მათ შორის სხვადასხვა ტევადობის ნაგავშემკრები ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, ნაგავსაყრელი პოლიგონის პირველი და მეორე უჯრედის შეფუთვა კონსერვაციის, გაზის შეკრებისა და ნარჩენების უტილიზაციის ღონისძიებებისათვის, ასევე დაგვა-დასუთავების ღონისძიებების შეუფერხებელი მომსახურების, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯებისა და შპს თბილსერვისის თანამშრომელთა პრემიებისთვის; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) იზრდება 15 700,0 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა ბაღების დეკემბრის ხარჯების ანაზღაურების, კაპიტალური ხარჯებისა და ბაგა ბაღების თანამშრომელთა პრემიებისათვის; ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას (კოდი 07 02 07) ემატება 135,0 ათასი ლარი შშმ პირებისათვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შესაძენად; და სხვა.

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით ჩამოთვალა ის პროგრამები, რომელთა შემცირების ხარჯზეც მოხდა აღნიშნულ პროგრამებში გადანაწილების შედეგად ასიგნებების გაზრდა.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდა ირაკლი ნადირაძეს. მისი აზრით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 170 მლნ-ის თბილისის ბუჯეტისათვის გადმოცემა დეკემბრის ბოლოს მოხდა იმიტომ, რომ ვერ აითვისეს თანხები და კითხვით მიმართა გაიოზ თალაკვაძეს, ტენდერებიდან მიღებული რა ეკონომიებია ბიუჯეტში, როდესაც ტენდერები ცხადდება წლის დასაწყისში, ან ავარიული ბინათმშენებლობის პროგრამაში ეკონომიაა თუ ვერ ათვისებული თანხა, გარდა ამისა 170 მლნ კაპიტალის სახით გადაეცემა კომპანიას თუ ნაშთად დარჩება.

შეკითხვებზე, იარკლი ზარქუამ უპასუხა, რომ ავტობუსებთან დაკავშირებით რამოდენიმე თვის წინ იყო პრეზენტაცია,დაგეგმილი იყო ბიუჯეტში თანხების მობილიზება და ველოდებოდით 161 მლნ ლარს, ხოლო გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ მეტროს ვაგონების მოდერნიზაციაზე ხელშეკრულება გაფორმებულია და თანხების ათვისება წელსვე მოხდება კაპიტალის ზრდით. რაც შეეხება ეკონომიებს ეს არ არის დეკემბერში გამოცხადებული ტენდერების ეკონომია, შესრულებული სამუშაოების შედეგად მიღებული ეკონომიებიცაა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა საკითხი.

**მომხრე-6 წინააღმდეგი- 1 (ირაკლი ნადირაძე)**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე უმრავლესობით გადაწყდა:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა იზრდება 56 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 927 631,5 ათასი ლარით, მათ შორის საკუთარი შემოსულობების ნაწილში 877 631,5 ათასი ლარი (თავდაპირველად წარდგენილ პროექტთან შედარებით იზრდება 6 000,0 ათასი ლარით), ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო სპეციალური ტრანსფერი 50 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრება 927 631,5 ათასი ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 900 531,5 ათასი ლარით, რაც პირველ წარდგენილ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 50 000,0 ათასი ლარით. მათ შორის:

**საგადასახადო შემოსავლები** ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით რჩება უცვლელი და შეადგენს - 658 415,2 ათასი ლარი. მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 473 415,2 ათას ლარს.

**გრანტები** ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 50 000,0 ათასი ლარით და შეადგენს - 51 341,5 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,5 ათასი ლარი, მათ შორის ევროკავშირის გრანტი - 850,3 ათასი ლარი ბიზნეს აქსელერატორის შექმნა და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის და როკფელერის ფონდის გრანტი (100 მედეგი ქალაქის ინიციატივის პროექტისათვის) - 31,2 ათასი ლარი;მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი - 50 000,0 ათასი ლარი.

**სხვა შემოსავლები** ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით რჩება უცვლელი და შეადგენს - **190 774,8 ათასი ლარი:** მ.შ შემოსავალი საკუთრებიდან – 8 650,0 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 47 000,0 ათასი ლარი;

სანქციები (ჯარიმები და საურავები) 38 000,0 ათასი ლარი;

სხვადასხვა შემოსავლები – 27 124,8 ათასი ლარი.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 927 631,5 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 670 134,8 ათას ლარს, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 85 243,8 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით

გათვალისწინებულია 135 180,8 ათასი ლარი, პროცენტი 1 461,5 ათასი ლარი, სუბსიდიები 162 223,0 ათასი ლარი, გრანტები 920,3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 158 795.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 126 310,3 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 216 085,9 ათას ლარს.

ფინანსური აქტივების ცვლილება

ფინანსური აქტივების ცვლილება (1 100.0) ათასი ლარი;

– ფინანსური აქტივების კლება – 1 100,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება

2019 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (15 410,8) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2019 წლისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 14 310,8 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქ. თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა განისაზღვრება 98 509,6 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება იზრდება 37 568,9 ათასი ლარით და შეადგენს 211 366,6 ათასი ლარს; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება განისაზღვრება 88 558,5 ათასი ლარით. იზრდება გამწვანების ღონისძიებები 5 916,5 ათასი ლარით და შეადგენს 32 166,5 ათას ლარს; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა რჩება უცვლელი და განსაზღვრულია 5 897,0 ათასი ლარის ოდენობით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება რჩება უცვლელი და განსაზღვრულია 20 648,1 ათასი ლარის ოდენობით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა იზრდება 1 223,9 ათასი ლარით და შეადგენს 192 254,6 ათას ლარს; განათლების პრიორიტეტი იზრდება 20 207,3 ათასი ლარით და შეადგენს 179 270,4 ათას ლარს; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტი იზრდება 9 974,0 ათასი ლარით და შეადგენს 31 567,4 ათას ლარს; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება რჩება უცვლელი და განისაზღვრება 3 608,8 ათასი ლარის ოდენობით; წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები განსაზღვრულია 95 950,5 ათასი ლარის ოდენობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით.

შეკითხვები ქონდათ ირაკლი ნადირაძეს, ლილე ლიპარტელიანს, რევაზ სოხაძეს, ვახტანგ შაქარაშვილს.

ირაკლი ნადირაძის აზრით 2018 წლის ბიუჯეტში წლის ბოლოს დარჩება ნაშთი და 2019 წლის ბიუჯეტის პარამეტრებიც შეიცვლება. მთავარი შენიშვნა რაც მათ გააჩნიათ ეს არის სახელფასო ფონდის ზრდა, ბიუჯეტში არ არის ჩანაწერი რომ საპრემიო ფონდი არ მოხმარდება თანამდებობის პირებს. გარდა ამისა შემცირებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, გზების მშენებლობის პროგრამები, ასევე შემცირებულია ავარიული შენობების აღდგენა-გამაგრების პროგრამა, მეტროს სადგურების რეკონსტრუქციის პროგრამა განულებულია. მისი აზრით ეკონომიკის განვითარების პროგრამებს პრიორიტეტი შეიძლება არც ეწოდოს, იმდენად მცირე თანხებია გამოყოფილი.შემოსავლების ნაწილში გაზრდილია ჯარომებიდან და სანქციებიდან მისაღები შემოსავლები და რატომ? სესხისა და ვალის მოცულობა რა კურსზეა გათვლილი.

ლევან ხაბეიშვილის კითხვა ეხებოდა, თუ რატომ იზრდება ბიუროკრატიის თანხები და რატომ ვერ გამოინახა ბიუჯეტში შესაბამისი თანხები ბაღის პედაგოგების ხელფასების ზრდისათვის.

ლილე ლიპარტელიანის აზრით სოციალური დახმარებების პროგრამით ხდება პარტიული აქტივის დაფინანსება საარჩევნოდ, რასაც სრული უაზრობა უწოდა გაიოზ თალაკვაძემ. გარდა ამისა ლილე ლიპარტელიანის აზრით აუტიზმის სპექტრით დაავადებული 125 ბავშვი პროგრამით მომლოდინეთა რიგშია და ამისათვის დაახლოებით 500,0 ათასი ლარია საჭირო,რასაც დაეთანხმნენ გიორგი ბირბიჩაძე და ირაკლი ზარქუა. იარკლი ნადირაძემ წინადადებით მიმართა გაიოზ თალაკვაძეს კომუნალური ვაუჩერის დაფინანსების პროგრამაში მოხდეს გაზის კომპონენტის გათვალისწინებაც.

გაიოზ თალაკვაძემ კონკრეტული პასუხები გასცა მათ შეკითხვებს, ხოლო იარკლი ზარქუას, რევაზ სოხაძის და სხვა კომისიის წევრთა აზრით ბიუჯეტი სრულად ასახავს თანამოქალაქეების ინტერესებს.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

**მომხრე -6 ; წინააღმდეგი -1 (ირაკლი ნადირაძე)**

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე უმრავლესობით გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: №11-011835930-44 (25.12.2018წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ"

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ლევან მიქავამ. მისი განმარტებით ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამაში „საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის „ პროგრამაში 1 850,0 ათასი ლარის დამატებას. თანხების გადატანა ხდება „კეთილმოწყობის ღონისძიებებისა" და „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრების" პროგრამებიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -6 ; წინააღმდეგი -1 (ირაკლი ნადირაძე)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ითხოვს მისთვის მიკუთნებულ პროგრამა/ქვეპროგრამების წლიურ გეგმებში ასიგნებების გადანაწილებას , ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** გადანაწილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ **წარმოდგენილი წერილის** (№11-011835930-41 ) დანართის შესაბამისად.

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი-ვიქტორ წილოსანი**

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება შეღავათიანი განაკვეთის დადგენა საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესაბამისად: საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13.

საქმიანობა სპორტის სფეროში მოიცავს სპორტული ობიექტების ფუნქციონირებას; სპორტული გუნდების ან კლუბების საქმიანობებს, რომლებიც უპირველესად მონაწილეობენ ცოცხალ სპორტულ ღონისძიებებში მაყურებლის წინაშე; დამოუკიდებელი ათლეტების საქმიანობას, რომლებიც მონაწილეობენ ცოცხალ სპორტულ ღონისძიებებში ან რბოლებში მაყურებლის წინაშე; მანქანების, ძაღლების, ცხენების და ა.შ. მფლობელების საქმიანობებს, რომლებიც უპირატესად მონაწილეობენ რბოლებში და სხვა საჩვენებელ სპორტულ ღონისძიებებში; სპორტული მწვრთნელების მიერ სპეციალიზებული მომსახურების გაწევას სპორტულ ღონისძიებებში ან შეჯიბრებებში მონაწილეთათვის; არენების და სტადიონების ოპერატორების საქმიანობებს; სპორტული ღონისძიებების ორგანიზების, წარმოჩენის ან მართვის სახვა საქმიანობებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი. სპორტის დარგით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები და დარგის მმართველი სახელმწიფო უწყებები მომართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას და აღნიშნავენ, რომ ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სპორტის სხვადასხვა სახეობებში არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე, რის გამოც მათ უგროვდებათ დიდი საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი და ითხოვენ გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას.

მომხრე -7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის  სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში  ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ერეკლე II -ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ : №01.18.03.045.019) 121 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალასთვის“ (ს/ნ ;404433029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე**

ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 121 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა შპს „კალა“-ს (ს/ნ: 404433029) 2023 წლის 01 ივნისამდე, ღია კაფის მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას: ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქ. №8/10-ში მდებარე 147.47 კვ.მ. ფართს·(საკადასტრო კოდი: №01.18.03.046.005.01.546). წლიური საიჯარო ქირაა - 29100  ლარი.

მომხრე-6 თავი შეიკავა-1 (ირაკლი ნადირაძემ)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის  სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზ.№9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ№01.16.05.031.029) 14კვმ მიწის ნაკვეთის შპს „მარტოსთვის“ (ს/ნ 404558144) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
**მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე**

ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.031.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა შპს „მარტოს“ (ს/ნ: 404558144) ღია კაფის მოსაწყობად, 2023 წლის 19 ოქტომბრამდე. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №15-ში მდებარე ფართებს (ს/კ: №01.16.05.031.031), მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით. წლიური საიჯარო ქირაა 2600 ლარი.

მომხრე-6 თავი შეიკავა-1 (ირაკლი ნადირაძემ)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ.№2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვმ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.14.11.031.048) 13 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მონ კაფე"-სთვის (ს/ნ 404523011) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო კვეტენაძე**

შპს „მონ კაფე"-ს (ს/ნ: 404523011) იჯარით გადაეცემა ქალაქ თბილისში, აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.031.048) 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღია კაფის მოსაწყობად. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №14-ში მდებარე ფართს (ს/კ: №01.14.11.031.008.01.545), მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით. წლიური საიჯარო ქირაა 1900 ლარი. ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ მთვრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №18.1011.1424 განკარგულებაში 1492 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი:№01.14.11.031.048), არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის წინა ნომერი. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერით აღნიშნული მიწის ნაკვეთი ფიქსირდება, როგორც 1491 კვმ მიწის ნაკვეთი საკ/კოდით: №01.14.11.031.084.

მომხრე-6 თავი შეიკავა-1 (ირაკლი ნადირაძემ)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა